ხელშეკრულება №256

სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზით სარგებლობის (იჯარის) უფლების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

/CPV: 79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება/

თბილისი **05 ოქტომბერი, 2016 წ.**

სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - **ზურაბ ლომიძის** სახით, ერთის მხრივ და **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ზურაბ გეწაძის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 3^1 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 14.07.2016წ №02/740 ბრძანების საფუძველზე და მხარდაჭერით მიმდინარე **მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის - „საჩუქარი 2016“ ფარგლებში,** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, "მიმწოდებლის" მიერ "შემსყიდველისთვის" შემდეგი სახის მოსახურების გაწევა:
"მიმწოდებელი" "შემსყიდველს" უთმობს თავისი თეატრის დარბაზს - **2016 წლის 15 ოქტომბერს** (16:00სთ-დან 22:00სთ-მდე) - ევა იერბაბუენას (სევილია, ესპანეთი) სპექტაკლის „წვიმა (ფლამენკო)“ გასამართად; უწევს ტექნიკურ მომსახურებას, რაც დაკავშირებულია სპექტაკლის გამართვასთან (შემდგომში ყოველივე მოხსენებულია როგორც "მომსახურება"). ტექნიკური მომსახურების ზუსტი ჩამონათვალი და გეგმა მითითებულია ხელშეკრულების №1 დანართში.
1.2. "შემსყიდველი" საკუთარი სალარო აპარატის გამოყენებით განახორციელებს სპექტაკლის ბილეთების რეალიზაციას "მიმწოდებლის" თეატრის სალაროში.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. **"მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას:**

2.1.1. სათანადო დონეზე უზრუნველყოს დარბაზის აღჭურვა ღონისძიების შესაბამისად;
2.1.2. შეუქმნას სამუშაო პირობები ღონისძიების ორგანიზატორებს;
2.1.3. მოამზადოს შენობა და მასში განლაგებული ავეჯი ღონისძიების ჩატარებისთვის;
2.1.4. უზრუნველყოს უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა.

2.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

2.2.1. ღონისძიების ჩატარებამდე **3 (სამი)** დღით ადრე წარუდგინოს „მიმწოდებელს" თავის ღონისძიებაში მონაწილე პირთა სია.
2.2.2. დაიცვას ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, უსაფრთხოების ნორმები; არ დაუშვას დარბაზში თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლის გამოყენება (ჩირაღდნები, სანთლები,

შუშხუნები, ღია ცეცხლის ეფექტები და სხვა). დასაშვები სპეცეფექტების და ა.შ. გამოყენება შეათანხმოს „მიმწოდებლის" უსაფრთხოების სამსახურთან.
2.2.3. „მიმწოდებლის" ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე არ შეცვალოს ინტერიერი.
2.2.4. წინასწარ შეათანხმოს წერილობით „მიმწოდებლის" დირექციასთან ღონისძიებაში მონაწილე პირთა სიის შესახებ საკითხი.
2.2.5. წინასწარ შეათანხმოს ‚მიმწოდებლის" უსაფრთხოების სამსახურთან მის მიერ დამატებითი დაცვის მოყვანის საკითხი.
2.2.6. აიღოს სრული პასუხისმგებლობა სახანძრო და შიდა უსაფრთხოების სფეროში "მიმწოდებლის" შენობაში მის მიერ შემოტანილი დეკორაციების მონტაჟისა და დემონტაჟის დროს.

3. გადასახადი და გადახდის პირობები

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, "შემსყიდველი" უხდის „მიმწოდებელს" მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, 16:00 სთ - დან 22:00 სთ - მდე, "მიმწოდებლის" დარბაზით სარგებლობის თანხას **12 500 (თორმეტიათას ხუთასი) ლარს** (დღგ-ის ჩათვლით). აღნიშნული თანხა "შემსყიდველმა" უნდა გადაიხადოს "მიმწოდებლის" მიერ წარდგენილი ინვოისის ან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ინვოისის წარდგენიდან ან აღნიშნული აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს აკრძალოს „შემსყიდველის" მიერ წერილობით შეუთანხმებელი ღონისძიების მოწყობა.
4.2. "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს დამკვეთთან ხელშეკრულება.
4.3. "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე მოშლის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 50 %-ის ოდენობით.
4.4. „მიმწოდებელი" პასუხს არ აგებს ღონისძიების პერიოდში ელექტროენერგიის შეწყვეტაზე.
4.5. "შემსყიდველს" არა აქვს უფლება გამოიყენოს თავისი განათებისა და გახმოვანების აპარატურა „მიმწოდებელთან" წინასწარი შეთანხმების გარეშე. .

5. განსაკუთრებული პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2016 წლის 20 ნოემბრამდე.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში შესწორების ან ცვლილებების შეტანა ძალაშია მხოლოდ მათი ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდგომ.